პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 65 (664) | ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 18 აგვისტოს დილის სხდომის შესახებ

18 აგვისტოს, დილის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დ. გიორგაძემ.** მან განაცხადა, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ნ. ბ. გაბუნიას** წინადადებით მტკიცდება სესიის მუშაობის რეგლამენტი.

შემდეგ საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს ამხ. **კ. ხ. ციმაკურიძეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ა. გიგოშვილმა.**

შემდეგ სესია შეუდგა საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ბ. ე. ლომიძე** (ქალაქ ქუთაისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ნ. მირიანაშვილი** (ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საარჩევნო ოლქი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. ა. გეგეშიძე,** დეპუტატი **მ. კ. დოლბა** (ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი), სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. გ. სანაკოევი,** დეპუტატი **ა. ხ. ბექაური** (დუშეთის რაიონის ფასანაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ი. კუპავა** (სუხუმის რაიონის შრომის საარჩევნო ოლქი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 18 აგვისტოს საღამოს სხდომის შესახებ

18 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ა. თ. ხელიძე** (ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **შ. ს. რეხვიაშვილი** (ონის რაიონის უწერის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ყ. ყულიევი** (ბოლნისის რაიონის არუხლოს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **შ. ი. ჭანუყვაძე** (ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საარჩევნო ოლქი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **დ. მ. მამულაძე,** დეპუტატი **მ. ი. ბურჭულაძე** (ლანჩხუთის რაიონის აცანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ე. ვ. სამადბლაშვილი** (ქ. გორის სტალინის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ზ. ნ. კეცხოველი** (დუშეთის რაიონის ბაზალეთის საარჩევნო ოლქი).

ამით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა მთავრდება.

# სპორტსმენთა შორის განვამტკიცოთ კოლექტივიზმის გრძნობა

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ყოვლისშემძლე მოძღვრებით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა კოლექტივიზმის გრძნობა, სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება.

ნორვეგიაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნინო დუმბაძეს ადგილობრივი პრესის მუშაკები შეეკითხნენ: „როგორ აღწევენ გამარჯვებებს საბჭოთა სპორტსმენები?" მან უპასუხა: „ჩვენ გვამოძრავებს ურთიერთისადმი პატივისცემა და სიყვარული, ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით გამარჯვების მოპოვებაში, ჩვენთვის მთავარია კოლექტივი".

ყველასათვის ცნობილია, რომ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ოთარ ქორქიამ ოლიმპიური თამაშების დროს დაშავებული ხელით ჩაატარა საპასუხისმგებლო შეჯიბრება არგენტინის კალათბურთელებთან. მას უფლება ჰქონდა არ ეთამაშა, რადგანაც შესაძლებელი იყო ტრავმა უფრო გართულებოდა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენმა — თავისი კოლექტივის ერთგულმა — ეს არ გააკეთა.

დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულები თბილისის „დინამოს" გუნდის კაპიტანის ა. ღოღობერიძის თავდადებული თამაშის მოწმენი არიან. მიუხედავად იმისა, რომ მას ფეხი საგრძნობლად დაშავებული აქვს, ყველა შეხვედრას მაღალ დონეზე ატარებს, იბრძვის მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თავისი კოლექტივის წარმატებას, არ გამოეთიშოს მას. მონაწილეობს რა საპასუხისმგებლო შეხვედრებში, მას ენერგიული, დაუღალავი თამაშით თავისი წვლილი შეაქვს გუნდის, კოლექტივის გამარჯვებაში.

ჩვენს სინამდვილეში მრავალია ასეთი კეთილშობილური ფაქტი. მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე იმასაც, რომ დღემდე ჩვენს რიგებში ადგილი აქვს კოლექტივისადმი, ამხანაგებისადმი უპატივცემულობის შემთხვევებს. ზოგიერთი სპორტსმენი ჯერ კიდევ თავის პირად, წვრილმან ინტერესებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე საერთო საქმეს. მათ დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ ეს აფერხებს საბჭოთა სპორტის განვითარებას, ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც მან მე-7 ადგილი დაიკავა. რატომ გამოვიდა გუნდი ასე წარუმატებლად, როდესაც მას შეეძლო საპრიზო ადგილი დაეკავებინა? იმიტომ, რომ გუნდში არ იყო ერთსულოვნება, იგი არ წარმოადგენდა ერთ, მონოლითურ კოლექტივს, ცალკეულ წევრებს მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. ველოსიპედისტმა ჯონჯოლიანმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მონაწილეობა არ მიიღო შეჯიბრებაში, ხოლო ჯიმშელეიშვილმა ოთხ კილომეტრზე რბოლაში არ აჩვენა კარგი დრო, თუმცა მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. არაამხანაგური დამოკიდებულება იყო აგრეთვე ველოსიპედისტ ქალთა შორის. რასაკვირველია, როდესაც გუნდში ასეთი არაჯანსაღი ვითარებაა, მაშინ წარმატების მოპოვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ველოსიპედისტთა შორის დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა. ჩვენმა მწვრთნელებმა დროა შეიგნონ, რომ ისინი სპორტსმენის მარტო ტექნიკური მაჩვენებლებისათვის კი არ არიან პასუხისმგებლები, არამედ მისი ქცევისთვისაც. მათი მოვალეობაა აღზარდონ სპორტსმენი, რომელიც იქნება მაღალიდეური და თავდადებით იბრძოლებს საკუთარი კოლექტივის წარმატებისათვის.

ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე სპორტსმენი საზოგადოებიდან საზოგადოებაში გადადის, ან ერთი საზოგადოების წევრია და მეორე საზოგადოების გუნდში მონაწილეობს. გურჯაანელი ფეხბურთელი გოგიტაძე „კოლმეურნის" წევრია, მაგრამ საქართველოს პირველობის ერთ-ერთ მატჩში გურჯაანის „ლოკომოტივში" თამაშობდა. რასაკვირველია, გოგიტაძეს ვერ მოვთხოვთ კოლექტივისადმი სიყვარულს, ერთგულებას, რადგანაც თვითონაც არ იცის, რომელი კოლექტივისათვის იბრძვის. გოგიტაძის ამ არასპორტულ საქციელში ბრალი „ლოკომოტივს" გურჯაანის რაისაბჭოსაც მიუძღვის, — მან უნდა იცოდეს, რომ სპორტსმენთა „სესხება" არაკეთილსინდისიერი საქმეა. სპორტსმენებს „სესხულობს" სწორედ ის საზოგადოება, რომელსაც თავის ძირეულ ორგანიზაციებში ჩაშლილი აქვს მუშაობა.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა დაუღალავად იბრძოლონ სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკური და მორალური დონის ამაღლებისათვის. გამარჯვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიპოვებთ, თუ კოლექტივები დაკომპლექტებული გვეყოლება მტკიცე ნებისყოფის, გამარჯვების ურყევი რწმენით აღსავსე სპორტსმენებით.

მხოლოდ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით მივაღწევთ სასურველ შედეგს, გავამართლებთ სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენზე გაწეულ ზრუნვას.

☆

## მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

16 აგვისტოს ლენინგრადში ჩატარდა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ტური მსოფლიო ჩემპიონ ლ. რუდენკოსა (თამაშობდა თეთრებით) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ე. ბიკოვას შორის.

ბიკოვამ აირჩია თამაშის მცდარი გეგმა. შემდეგ მან ენერგიულად ითამაშა, პარტია გაათანაბრა და ხელთ იგდო ინიციატივა. უკვე 29-ე სვლაზე მას მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა. ცაიტნოტის შიშით მცირე დროში რამდენიმე სვლა განახორციელა და გადამწყვეტ მომენტში შეცდომა დაუშვა. რუდენკომ მოიგო ხარისხი.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო მსოფლიო ჩემპიონისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

# ოქროს მედლები დაიმსახურეს

15 აგვისტოს ბუქარესტში შედგა ფინალური შეხვედრები კრივში.

საბჭოთა მოკრივეებმა სტეპანოვმა და ენგიბარიანმა კარგად მოუგეს ბოსტიოგსა (რუმინეთი) და კელნერს (უნგრეთი). მათ ოქროს მედლები დაიმსახურეს. ოქროს მედლები მიენიჭათ აგრეთვე ჩვენს მოკრივეებს — სოკოლოვსა და თბილისელ დარბაისელს. ტოლსტიკოვმა (სსრ კავშირი) წააგო 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან უნგრელ ლასლო პაპთან.

აღსანიშნავია შოციკასის (სსრ კავშირი) წარუმატებლობა. ფინალურ შეხვედრაში იგი პირველი რაუნდის პირველსავე წამებში ნოკაუტირებულ იქნა რუმინელ ჩებოტარუს მიერ.

კლასიკურ ჭიდაობაში ფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ და ოქროს მედლები მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა სტაშკევიჩმა, პუნკინმა, საფინმა, კარტოზიამ, შატვორიანმა, ნიკოლაევმა და მაზურმა.

საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა (53 ქულა), მეორეზეა — უნგრეთი (29 ქულა), მესამეზე — რუმინეთი (28 ქულა).

ამავე დღეს ბუქარესტში 23 აგვისტოს სახელობის სტადიონზე მოხდა ახალგაზრდობის საერთაშორისო ამხანაგური სპორტული თამაშების დახურვა.

საპატიო თასებისა და მედლების გადაცემის შემდეგ მოეწყო დროშების პარადი. ტრიბუნების წინ საზეიმო ვითარებაში ჩაატარეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დროშები, აგრეთვე მშვიდობის დროშები და საერთაშორისო სპორტულ თამაშობათა მონაწილე ქვეყნების ალმები.

დამსწრეთა წინაშე სიტყვით გამოვიდა ფესტივალის სპორტულ თამაშობათა ჩამტარებელი, საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე მ. ბოდნარაში.

დამთავრებული სპორტული შეხვედრების შედეგები მეტად დამაკმაყოფილებელია როგორც რიცხობრივ, ასევე დამყარებული რეკორდების ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ბუქარესტში ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა 54 ქვეყნის 4.366 სპორტსმენი ჭაბუკი და ქალიშვილი. ისინი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს სპორტის 18 სახეობაში.

მონაწილეთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა მიიზიდა მძლეოსნობაში შეჯიბრებებმა. მათში მონაწილეობდა 34 ქვეყნის წარმომადგენელი, რომლებმაც დაამყარეს 35 ნაციონალური რეკორდი, მათ რიცხვში 4 მსოფლიო და ევროპული რეკორდი. ხუთი ათას მეტრზე რბენაში ზატოპეკისა (ჩეხოსლოვაკია) და კუცის (საბჭოთა კავშირი) შედეგი ჰელსინკში ოლიმპიურ თამაშებზე ნაჩვენებ დროზე უკეთესია. ქალთა ამანათრბენის (4×200) მონაწილე ყველა გუნდმა დაამყარა ახალი ნაციონალური რეკორდები, ხოლო სსრ კავშირის გუნდმა — ახალი მსოფლიო რეკორდი.

სიმძიმეების აწევაში გაუმჯობესებულია 18 ნაციონალური რეკორდი.

100 კილომეტრზე ველორბოლაში (ვაჟებისათვის) მონაწილეობდა 17 ქვეყნის 22 გუნდი. პირველმა რვა გუნდმა აჩვენა საშუალო სისწრაფე, რაც აღემატება 40 კილომეტრს საათში.

სულ სპორტის ყველა სახეობაში ბუქარესტში დამყარებულია ხუთი მსოფლიო და 93 ნაციონალური რეკორდი.

ჩატარებულ სპორტულ ასპარეზობაში განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად ჩვენი დიადი ქვეყნის წარმომადგენლებს: საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 333 მედალი. აქედან — 202 ოქროსი 72 ვერცხლისა და 59 ბრინჯაოსი.

16 აგვისტოს, საღამოს, ბუქარესტში შედგა ფესტივალის ყველა მონაწილის საზეიმო დემონსტრაცია. 111 ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი 30 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი გაემართა 28 მარტის სახელობის მოედნისაკენ. სტუმრებს მიესალმა რუმინეთის დედაქალაქის ათი ათასობით მცხოვრები.

მოედანზე თავი მოიყარა 160 ათასმა კაცმა. მთავარ ტრიბუნაზე იყვნენ რუმინეთის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელები, დელეგაციების ხელმძღვანელები, მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობის მოღვაწეები, მათ შორის ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი ანრი მარტენი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრუნო ბერნინიმ. მან გამოსვლა დაამთავრა მთელი მსოფლიოს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისადმი 111 ქვეყნის 30 ათასი ახალგაზრდა წარმომადგენლის მიმართვის ტექსტის კითხვით.

### ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალი

### რუსთავი — თბილისი

**16 აგვისტოს თბილისში ლენინის სახელობის მოედანზე მოეწყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV ფესტივალისადმი მიძღვნილი კომბინირებული ამანათრბენის (რუსთავი — თბილისი) ფინიში. ამანათი თავიდანვე მიქონდათ მორბენლებს, შემდეგ ველოსიპედისტებს, მოტოციკლისტებს. მოედანზე ამანათი კვლავ მორბენლებმა მიიტანეს.**

**საინტერესო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა „დინამოს" გუნდმა. მეორე ადგილზეა „მეტალურგის" კოლექტივი.**

# შევკრიბოთ, შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ხალხური თამაშობანი

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჯანმრთელი თაობის აღზრდის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ხალხურ თამაშობათა გამოყენებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (1953 წელი, №28) დაბეჭდილი ალ. რობაქიძის წერილი: „დავნერგოთ მოსწავლე ახალგაზრდობაში ხალხური თამაშობანი".

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საგრძნობ მუშაობას ატარებს ქართულ ხალხურ მოძრავ თამაშთა შეკრება-შესწავლისა და მათი გადამუშავების, აღდგენისა და დანერგვის საქმეში. ინსტიტუტი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში. რამდენიმე წლის მანძილზე დაგროვდა მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდებში ინახება.

ინსტიტუტში თავმოყრილ მოძრავ თამაშთა ანალიზი ნათელყოფს, რომ თამაში არის ხალხის სოციალური ყოფის დამახასიათებელი და მისი კულტურის განუყრელი ელემენტი. თამაშთა უმრავლესობა უძველეს წარსულში წარმოიშვა. დროთა ვითარებაში საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ზეგავლენით ისინი თანდათან გარდაიქმნენ. პრაქტიკულ საქმიანობასთან თამაშის ორგანულ კავშირს მოწმობს, მაგალითად, სოფელ საგარეჯოში 1950 წელს დამოწმებული თამაშობა „რჩოლაობა". მოკლული ცხოველის რქებს ბავშვები ბოძზე ჩამოკიდებენ და დაახლოებით 5-6 მეტრის მანძილიდან ერთმანეთს ეჯიბრებიან რქებზე ქამანდის ჩამოცმაში.

საფუძვლიანია ის მოსაზრება, რომ ამ თამაშში ასახულია ადამიანის მოქმედება, როდესაც იგი მონადირეობის მიზნით გარეულ ცხოველს ალბათ, ამავე ქამანდით იჭერდა. სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ თამაშის შინაარსი განსაზღვრა ადამიანის პრაქტიკულმა საქმიანობამ, ხოლო შემდგომ მან ხელი შეუწყო ადამიანის ფიზიკურ მომზადებას.

იგივე უნდა ითქვას ბევრ სხვა თამაშზე, რომლებიც დღესაც დამოწმებულია ბავშვთა ყოფაში, მაგრამ მათი თავდაპირველი აზრი აღარავის ესმის.

ხევსურეთში დამოწმებულია საბავშვო თამაში „მგელ-ჯიხვაობა", რომელიც წელიწადში ერთხელ (ზამთრობით) იმართება. თამაშის მონაწილენი 15-20 მეტრის მანძილიდან რიგ-რიგობით ტყორცნიან ისარს ფიცარზე მიყუდებულ პურებს, რომელთაც სხვადასხვა ნადირის გამოსახულება აქვთ (მგლის, ჯიხვის, დათვის და სხვ). თამაშის საფუძვლიანმა შესწავლამ დაადასტურა, რომ ამ 40-50 წლის წინათ სანადიროდ წასვლის წინ უფროსებიც თამაშობდნენ „მგელ-ჯიხვაობას". ეს საგულისხმო მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული თამაში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მასობრივ ნადირობასთან.

შესაძლებელია ისიც, რომ „მგელ-ჯიხვაობის" ხასიათი უახლოეს მიზეზობრივ კავშირშია მონადირეთა ყოფასთან და გამოხატავს იმ სამეურნეო საქმიანობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მათს ცხოვრებაში. შემდგომ კი თამაშმა მიიღო ფიზიკური აღზრდისა და სროლაში გაწაფვის ფაქტორის მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ის სპეციალურად სრულდება სანადიროდ წასვლამდე.

საქართველოს სსრ სხვადასხვა რაიონში ხალხურ თამაშთა ნიმუშების ჩაწერას დღესაც განაგრძობს ინსტიტუტი. ამ სამუშაოს ასპარეზის გაფართოებისა და მასში ფიზკულტურის მასწავლებელთა ფართო აქტივის ჩაბმის მიზნით საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და გაზეთ „ლელოს" რედაქციამ განიზრახეს კონკურსის მოწყობა. უდავოა, რომ დაინტერესებულ პირთა და პირველ ყოვლისა ფიზკულტურის მასწავლებელთა ამ საქმეში მონაწილეობა ბევრად შეუწყობს ხელს საუკუნეების მანძილზე შექმნილ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ უამრავ ორიგინალურ და დამახასიათებელ თამაშთა შეკრება-ჩაწერას.

რა დახმარების გაწევა შეუძლიათ ამ მიმართულებით ფიზკულტურის მასწავლებლებს? სასურველი იქნება თუ მასწავლებლები თავის საცხოვრებელ ან სამუშაო რაიონში შეკრებენ ქართული ხალხური თამაშების ნიმუშებს და გადმოუგზავნიან საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ყოველ ჩაწერილ თამაშს თან უნდა დაერთოს შემდეგი ცნობები: თამაშის სახელწოდება, მოთამაშეთა სქესი და ასაკი, თამაშში გამოყენებული ინვენტარი (ბურთი, ჩალიჩი, ჰაკუნი, კორა და სხვ.) და მისი ზომები, რა მასალისაგან მზადდება ინვენტარი და როგორია მისი დამზადების ტექნიკა, თამაშის ჩატარების ადგილი — მოედნის ზომა, როდის ტარდება (ან ტარდებოდა) თამაში, თამაშის ჩატარება ხომ არ არის დაკავშირებული რომელიმე სახალხო დღესასწაულთან, და თუ არის — რომელთან და რაში გამოიხატება ეს კავშირი; მოთამაშე გუნდების დაკომპლექტების წესი და ადგილზე გავრცელებული გათვლები: როგორ დგებოდა უწინ გუნდები — ოჯახური მდგომარეობის, მეზობლობის, გვარისა თუ წოდების ნიშნით; გუნდში მონაწილე თვითეული წევრის დასახელება და დახასიათება მასზე დაკისრებული ფუნქციების მიხედვით; მოთამაშეთა განლაგება, თამაშის მსვლელობა, წესები და ტექნიკა, რეგლამენტი, თამაშის შედეგების აღრიცხვის წესი.

გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს — თამაშის ჩაწერის ადგილი, დრო, ჩამწერის ვინაობა და აგრეთვე მთხრობელის გვარი, სახელი და ასაკი.

თამაშის ჩაწერა ხდება მთხრობელ-ინფორმატორის ყოველმხრივი გამოკითხვის ან თვით თამაშის მსვლელობაზე უშუალო დაკვირვების შედეგად. ჩამწერმა უნდა უზრუნველყოს მასალის მაქსიმალურად ზუსტი ფიქსაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თამაშის სიუჟეტსა და მის ვარიანტებს.

თამაშების ჩაწერის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი მეტყველების თავისებურება: საჭიროა შევინარჩუნოთ თამაშთან დაკავშირებული ყველა ტერმინი, ფიქსირებულ იქნას მთხრობელის ყველა გამოთქმა და ზოგ შემთხვევაში მისი სიტყვით გადმოცემული ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც ასახავენ მის პირად მონაწილეობას ამა თუ იმ თამაშში.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იმედოვნებენ, რომ მათი ეს ინიციატივა სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს. ამ საქმეში ფიზკულტურის მასწავლებელთა აქტიური და გულმოდგინე მონაწილეობა ხელს შეუწყობს ქართული ხალხური თამაშების შეკრებას, მეცნიერულად შესწავლასა და თანამედროვე პრაქტიკაში გამოყენებას.

## კონკურსის პირობები

1. ხალხურ თამაშობათა შეკრების, შესწავლისა და გამოყენების მიზნით მოწყობილ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც წარმოადგენს არა ნაკლებ სამი ქართული ხალხური სპორტული ან მოძრავი თამაშის თუ ვარჯიშის გამოუქვეყნებელ აღწერილობას (შედგენილს ზემოთ მოყვანილი პირობების მიხედვით).

2. ქართული ხალხური სპორტული (ან მოძრავი) თამაშებისა და ვარჯიშთა საუკეთესო ნიმუშები გამოქვეყნებულ იქნება გაზეთ „ლელოში" ყველა საავტორო უფლების დაცვით.

3. კონკურსის შედეგად შეკრებილი ის მასალა, რომელიც უპასუხებს სამისო მოთხოვნებს, გამოქვეყნებულ იქნება ჩამწერის ვინაობის აღნიშვნით კრებულში: „ქართული ხალხური თამაშობანი", რომელსაც გამოსაცემად ამზადებს საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

4. შეკრებილ მასალას შეაჯამებს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის საკონკურსო კომისია, რომელშიც შედიან გაზეთ „ლელოს" რედაქციის, ჯანმრთელობის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს, თბილისის საბჭოსთან არსებული განათლების მუდმივმოქმედი კომისიისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. კონკურსის შედეგები გამოქვეყნებულ იქნება მიმდინარე წლის დეკემბერში.

5. ქართულ ხალხურ სპორტულ (ან მოძრავ) თამაშთა და ვარჯიშთა საუკეთესო ნიმუშების ავტორებს გადაეცემათ გაზეთ „ლელოს" ჯილდო.

6. მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ნინოშვილის ქუჩა № 57, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „კონკურსისათვის".

## კარგი ნამონუება

ორმოცდაათამდე ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა კრივში „სპარტაკის" პირად პირველობის გათამაშებაში. რინგზე გამოდიოდნენ თბილისის, ბათუმის, სუხუმის, სტალინირის, ფოთის, ახალციხის ნორჩი მოკრივეები.

ცხარე ბრძოლების შედეგად ჩემპიონის წოდება მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით) ხუდოიანმა (ბათუმი), ლარიბიანმა (სუხუმი), ანდღულაძემ (თბილისი), მამუჩაძემ (ბათუმი), სილაგაძემ (თბილისი), ჯალალანიამ (სუხუმი), ოსიპოვმა (თბილისი), სოფრომაძემ, ტუღუშმა (ორივე ბათუმიდან) და მამალაძემ (თბილისი).

უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის შეჯიბრება „სპარტაკმა" წელს პირველად ჩაატარა, რაც უდავოდ მისასალმებელია. შეჯიბრებამ გამოავლინა, რომ თბილისში, ბათუმში, სუხუმში იზრდებიან ჩამოყალიბებული, კარგად მომზადებული მოკრივეები. ხუდოიანის, მამუჩაძის, ლარიბიანის, ანდღულაძის, სილაგაძისა და სხვათა ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება საკმაოდ მაღალია, რასაც ვერ ვიტყვით სტალინირისა და ფოთის წარმომადგენლებზე. ამ ქალაქების სპორტსმენები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები, მაგრამ ტექნიკურ-ტაქტიკურ ილეთებს ვერ ფლობენ სრულყოფილად. მონაწილეთა უმრავლესობას ცუდად აქვს დამუშავებული დარტყმები. რინგზე ვერ მოძრაობენ თავისუფლად, ვერ ფლობენ ძლიერ დარტყმებს მარცხნიდან. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნორჩმა მოკრივემ მაისურაძემ (ახალციხე), რომელსაც ყველა მონაცემები აქვს გახდეს პირველხარისხოვანი სპორტსმენი. მაგრამ მან და ბევრმა მოკრივემ სამხრეთ ოსეთის გუნდიდან უნდა აითვისონ კრივში დაცვის უდიდესი მნიშვნელობა.

## მხოლოდ დაპირებები და დადგენილებები

— რამდენი ნიშნოსანი და თანრიგოსანი მოამზადეთ გასულ წელს?

— არ მახსოვს.

— გეგმით რამდენი უნდა მოამზადოთ მიმდინარე წელს?

ვერც ეს გაიხსენა კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარემ ა. ჯიხვაძემ. შემდეგ „საქმეები" გადმოალაგა და ამაოდ ეძება ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების 1953 წლის გეგმა. რაც არ ჰქონდა რას იპოვნიდა.

რამდენიმე ხნის წინ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ერთი მოწინავეთაგანი იყო დედაქალაქში. მაგრამ ახლა... აქ არცერთი სექცია არ მუშაობს. სავალალო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ახალგაზრდების მრავალი თხოვნის შემდეგ მიმდინარე წლის თებერვალში მოიწვიეს ფიზკულტურელთა საერთო კრება. ბევრი კარგი აზრი გამოითქვა, საკმაოდ ბევრ რამეს დაპირდა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე მაისაია, აირჩიეს საბჭოს ახალი შემადგენლობა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. საბჭოს ახალმა შემადგენლობამ ის გააკეთა, რომ მხოლოდ „ჩამოაყალიბა" ფრენბურთის, მძლეოსნობისა და ცურვის სექციები, ერთხელ ჩაატარა საქარხნო საჭადრაკო ჩემპიონატი. მოაწყო ამხანაგური შეხვედრა 26 კომისრის სახელობის ქარხნის ფრენბურთელებთან და ახალგაზრდობის წინაშე თავი ვალმოხდილად ჩათვალა.

სექციების უქონლობამ განაპირობა ის, რომ ქარხნის სპორტსმენები სხვა სპორტსაზოგადოებათა სექციებში მეცადინეობენ და მათ ღირსებას იცავენ საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მაგალითად, ქარხნის ახალგაზრდა ძალოსნები გ. ოსმანოვი და ი. ვოლოხოვი წვრთნას „ისკრის" ძალოსანთა საქალაქო სექციაში გადიოდნენ, ხოლო მოკრივე ა. ბაძაია „დინამოს" სექციაში, თუმცა აღნიშნული ამხანაგები „ტრუდის" წევრები არიან.

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარე სექციების უმოქმედობას იმით ამართლებს, რომ არა აქვთ ბაზები და სპორტინვენტარი. მართლაც ასეთ დიდ კოლექტივს, რომელიც 240-მდე ფიზკულტურელს აერთიანებს, ამჟამად არ აქვს არავითარი სპორტული ბაზა. ოთახში, რომელიც დირექციის თანხმობით ახალგაზრდებმა სპორტული ბაზისათვის გამოძებნეს, ამჟამად იგი სხვა დანიშნულებისათვის" გამოყენებული.

სპორტის აღმავლობისათვის სუსტად იბრძვის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია (მდივანი ო. კაშია). მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, 20 მაისს, კომკავშირის ღია კრება ფიზკულტურის ძირეული საბჭოს თავმჯდომარის ვრცელი მოხსენების მაგიერ, მოკლე ინფორმაციით დაკმაყოფილდა. კრებამ, მართალია კარგი დადგენილება მიიღო, მაგრამ მისი შესრულების შემოწმებაზე ჯერ კიდევ არავინ ფიქრობს, თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

საზოგადოება „ტრუდის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ზ. მასუნოვა ქარხნის კომკავშირელთა საერთო კრებაზე, როცა ქარხანაში ფიზკულტურული მუშაობის საკითხს იხილავდნენ, მრავალი თხოვნის შემდეგ ძლივს დაისწრეს და ახალგაზრდების სამართლიანი საყვედური მოასმენინეს მასუნოვა სიტყვითაც გამოვიდა და განაცხადა: ამხანაგებო! საჭიროა საქმე ისე დააყენოთ, რომ თქვენს ქარხანაშიც ფეხზე დადგეს ფიზკულტურული მუშაობა (!). ცოტაოდენ დახმარებასაც დაპირდა, რომელსაც დღესაც ელიან მუშა სპორტსმენები, მაგრამ არა ჩანს.

14 ივნისიდან 2 ივლისამდე მიმდინარეობდა „ტრუდის" საქალაქო სპარტაკიადა. შეჯიბრებაში კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურელებიც მონაწილეობდნენ. წინასწარი ცნობებით ქარხნის მოჭადრაკეებმა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო მძლეოსნებმა 1.000 და 3.000 მეტრზე რბენაში I და II ადგილები, საბოლოო შედეგს ამაოდ ელიან ისინი. ქარხნის ფიზკულტურელებმა დღესაც არ იციან ჩატარდა თუ არა შემაჯამებელი საღამო, რა შედეგით გამოვიდნენ შეჯიბრებაზე. მათი კუთვნილი სიგელები კი „ტრუდის" რესპუბლიკურ საბჭოში აწყვია.

**ო. ივდოშვილი,**
**ა. ჯალალანია**

## ფიზკულტურისა და სპორტის მთავარ სამმართველოში

### „პიშჩევიკისა" და „ისკრის" რესპუბლიკურ საბჭოებთან არსებული პროპაგანდისა და აგიტაციის სექციების მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის 1951 წლის 23 თებერვლის № 167 ბრძანების თანახმად „პიშჩევიკისა" და „ისკრის" რესპუბლიკურ საბჭოებში შექმნილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდისა და აგიტაციის სექციები. როგორც შემოწმებით დადასტურდა, აღნიშნულმა სექციებმა ჩაატარეს ერთგვარი საქმიანობა მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი დანერგვისა და განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, სექციებს თავის მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებანი: „პიშჩევიკის" რესპუბლიკურ საბჭოს სექციებში გაერთიანებულია მხოლოდ რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები, სექციის მუშაობაში არაა ჩაბმული აქტივი, სექციების სხდომები ტარდება არარეგულარულად, ამიტომ გეგმით გათვალისწინებული საკითხების უმრავლესობა შეუსრულებელი რჩება. ლექტორთა ჯგუფებში არ არიან ჩაბმული მოწინავე სპორტსმენები. სექციები სუსტად არიან დაკავშირებული პრესასთან, რადიოსთან, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. არ უწევენ საშეფო დახმარებას „კოლმეურნეს" ძირეულ ორგანიზაციებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების და ამ დარგში პროპაგანდისა და აგიტაციის ფართო გაშლის მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ დაავალა აჭარისა და აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებებს, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ფიზკულტურის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ჯანმრთელობისა და ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სექტორების უფროსებს, ჯანმრთელობის განყოფილების უფროს ინსპექტორებსა და ინსტრუქტორებს, ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებს, ფიზკულტურის ხელმძღვანელ მუშაკებს ხშირად ჩაატარონ მოხსენებები და ლექციები, ამ მუშაობაში ჩააბან ფიზკულტურის მასწავლებლები, სპორტის ოსტატები, მოწინავე სპორტსმენები და საზოგადოებრივი აქტივი. მტკიცე კავშირი იქონიონ ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებთან, დაეხმარონ მათ ფიზკულტურული მუშაობის უკეთ გაშუქებაში, ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში უზრუნველყონ კედლის გაზეთებისა და ბიულეტენების სპეციალური ნომრების გამოშვება, სპორტულ ღონისძიებების ხარისხოვნად ჩატარება, შეჯიბრების ადგილის მხატვრული გაფორმება, ფართოდ და დროზე აცნობონ ჩასატარებელი სპორტული ღონისძიების შესახებ მოსახლეობას; სათანადოდ გააფორმონ სპორტული ბაზები (სააგიტაციო ლოზუნგებით, პლაკატებით, ფოტოგამოფენებით, საკავშირო ერთიანი კლასიფიკაციით, მშთ კომპლექსის ნორმატივებითა და საუკეთესო სპორტული მიღწევებისა და რეკორდების ცხრილებით), განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისა და აგიტაციის გაძლიერებას სოფლის მოსახლეობაში.

ვიხილავთ წერილს „ფეხბურთის ტაქტიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ“

# საკითხი მართებულადაა დასმული

ე. ანტონოვის წერილი „ფეხბურთის ტაქტიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ“, რომელიც „ლელოში“ იყო გამოქვეყნებული განხილვის წესით, მისასალმებელი წამოწყებაა. მწვრთნელებისა და ფეხბურთელების აზრთა ურთიერთგაზიარება დიდ სარგებლობას მოუტანს ფეხბურთის კოლექტივებს. საკითხი სავსებით მართებულადაა დასმული.

რამ გამოიწვია ჩვენში ფეხბურთის წინსვლის შეფერხება? ამაში დამნაშავენი არიან, როგორც ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების მწვრთნელები, ისე ფეხბურთელებიც. მათი უმეტესობა არასერიოზულად, უპასუხისმგებლოდ ეკიდება მათზე დაკისრებულ საქმეს, არაკეთილსინდისიერად მუშაობენ, არ ცდილობენ შეიტანონ სიახლენი საბჭოთა ფეხბურთის ტექნიკასა და ტაქტიკაში. მწვრთნელთა მთელი ყურადღება დღემდე მიმართულია მოთამაშეთა ფიზიკურად მომზადებისაკენ, რისთვისაც იყენებენ ერთიდაიგივე მოსაწყენ და მომქანცველ ილეთებს. მოთამაშეთა ცუდი ტექნიკური მომზადება, ჩემის აზრით, არის მთავარი, რამაც შეაფერხა ფეხბურთის განვითარება ჩვენში. მწვრთნელებს რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ ფეხბურთელებთან ინდივიდუალური წვრთნა, მათი ტექნიკური სრულყოფა.

მაღალი ტექნიკის გარეშე შეუძლებელია ტაქტიკურ სრულყოფაზე ლაპარაკი, ვინაიდან ეს ორი საკითხი ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

არ ვეთანხმები ანტონოვს მისი წერილის პირველ საკითხში თამაშის ხანგრძლივობისა და გაცდენილი დროის გამორიცხვის შესახებ, როგორც ეს კალათბურთში ხდება. ამხ. ა. იოსავას პასუხი ამ წერილის შესახებ სწორია.

მართებულად აქვს ანტონოვს დასმული საკითხი პირველი დარტყმის შესახებ. პირველი დარტყმა ბურთის თამაში შეყვანის ფორმალობა არაა. ყოველ გუნდს უნდა ჰქონდეს ზუსტად დამუშავებული რამდენიმე ვარიანტი, რომელთა მეოხებით თავდამსხმელებს შეეძლებათ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

მაგრამ ყოველი ტაქტიკური ვარიანტის გარჩევისას უნდა ზუსტად იქნეს დამუშავებული წვრილმანებიც კი. გავითვალისწინოთ ყოველი დეტალი და არავითარ შემთხვევაში არ ვენდოთ დაფაზე გარჩეულ, მხოლოდ თეორიულ და პრაქტიკაში შეუმოწმებელ დასკვნებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თამაშის დასაწყისში დამცველი გუნდი მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა მოულოდნელი მანევრების თავის ასარიდებლად მიმართავს ტაქტიკას ერთი ერთზე. მცველებისა და ნახევარმცველების მთელი ყურადღება მიმართულია თავიანთი პირადი მოწინააღმდეგეებისაკენ და დაიწყება თუ არა თამაში, ისინი მაშინვე ფეხდაფეხ აედევნებიან მათ. ამიტომაც № 8 და № 10 მოთამაშეების ღრმად შეჭრამ დამცველი გუნდის განლაგებაში, ვფიქრობ, „შეშფოთება და დაბნეულობა“ გამოიწვიოს იქ.

ანტონოვი წერს, რომ ცენტრში მყოფი № 9 და № 5 მოთამაშეები ბურთს გადასცემენ უკან მდგომ ნახევარმცველს (№ 6) და თვითონაც წინ გაიჭრებიან, მოწინააღმდეგეს გზას გადაუღობავენ და ხელს შეუშლიან ბურთის დაუფლებაში. მაგრამ „უბურთოდ „გზის გადაღობვა და ხელის შეშლა“ მოთამაშისათვის თამაშის წესით ხომ აკრძალულია?

რაც შეეხება ამ სქემაში მოცემულ დამწყები გუნდის მცველთა განლაგებას, ჩემი აზრით, იგი გაუ-



მართლებელია, ვინაიდან ჯერ ერთი ბურთის არაზუსტად გადაცემის შემთხვევაში მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელებს საშუალება ექლევათ ბურთით სწრაფად გაიჭრან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადამდეც მანძილი რჩება 30-35 მ. და არა 50 მეტრზე მეტი. გარდა ამისა, რაც მთავარია, მცველთა განლაგება მათ საშუალებას უსპობს საშიშროების შემთხვევაში მოახდინონ შესაბამისი ურთიერთდაზღვევა.

საჭიროა, რომ გუნდის ყოველ მოთამაშეს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული თამაშის გეგმა. როგორც მთლიანად გუნდს, ისე თვითეულ ფეხბურთელს უნდა მიეცეს კონკრეტული სამოქმედო ამოცანა და განმარტება, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი, როგორ უნდა მოხერხდეს მცველის გამოტყუება თავისი სამოქმედო ზონიდან და პარტნიორის ხელსაყრელ ადგილზე გაყვანა გადამწყვეტი დარტყმისათვის. რა თქმა უნდა, კარგია თუ გუნდი წინასწარ შეიმუშავებს საწყის, საჯარიმო, კუთხურ დარტყმებს და აგრეთვე გვერდითი ხაზიდან ბურთის თამაშში შეყვანის სხვადასხვა ვარიანტს. ამასთან ყოველი კომბინაცია რაც შეიძლება ნაკლებსვლიანი უნდა იყოს. 5-6-7-სვლიანი კომბინაცია კი მრავალსვლიანია და ძნელად განსახორციელებელი. მე მოვიყვან საწყისი დარტყმის ერთ-ერთ ვარიანტს, რომელიც საშუალებას მისცემს თავდამსხმელებს 4 სვლის შემდეგ აღმოჩნდეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნახაზზე ფეხბურთელები ჩვეულებრივი წესით არიან განლაგებული. № 9 ბურთს აწოდებს № 10-ს, იგი კი უკან გადასცემს ნახევარმცველს — № 6-ს. როგორც კი № 6 მოთამაშე ბურთს მიიღებს, № 8 და № 10 ფეხბურთელები სწრაფად წინ გაიჭრებიან, № 10 თავის მოწინააღმდეგე ნახევარმცველთან (№ 5) შეჩერდება, ხოლო № 8 კი მოწინააღმდეგის ცენტრალურ მცველს „აეტმასნება“, ყოველი საშუალებით მის ყურადღებას მიიპყრობს და იძულებულს გახდის მასთან იმყოფებოდეს. № 6 მოთამაშე ბურთს გადასცემს მარცხენა გარემარბს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში წინ და მარჯვნივ გადაინაცვლებს 10-15 მეტრით. ამ დროს № 9 მოთამაშე სწრაფად წინ გაიჭრება მარცხენა შუამარბის ზონაში. მარცხენა გარემარბი ბურთს ჯერ მოწინააღმდეგე მარჯვენა მცველისკენ წაიღებს. ბუნებრივია, მცველი მისკენ გაემართება და გაანთავისუფლებს თავის ზონას, ხოლო გარემარბი ბურთს გადასცემს უმეთვალყუროდ დატოვებულ ცენტრალურ თავდამსხმელს. ეს უკანასკნელი უკვე ხელსაყრელ მდგომარეობაშია უშუალო შეტევისა ან კომბინაციის განგრძობისათვის.

ამ სქემის მიხედვით დამცველი გუნდის № 6 მოთამაშის გარდა ყველანი „დაკავებული“ არიან. შემტევი გუნდის მარჯვენა გარემარბის ყოფნამ მოწინააღმდეგე გუნდის ცენტრალურ მცველთან შეიძლება მართლა შეაშფოთოს № 6 მოთამაშე და სანამ იგი თავისუფლად მყოფ მოწინააღმდეგის თავდამსხმელს დაუწყებს ძებნას და მასთან მივა, შესაძლებელია კომბინაციის დამთავრება.

რა თქმა უნდა, შეიძლება ეს ვარიანტიც პრობლემატური იყოს და ბევრჯერ წარუმატებლადაც დამთავრდეს (ვინაიდან საკმარისია მოწინააღმდეგე გუნდის № 2 მოთამაშე ცენტრიდან 10-15 მეტრის დაშორებით იდგეს, რომ კომბინაცია ჩაიშალოს), მაგრამ, ცხადია, არ შეიძლება წინასწარ იქნეს შემუშავებული ამა თუ იმ კომბინაციის წარმატებით დასამთავრებელი „რეცეპტი“. ასეთ კომბინაციას ბრმად არ უნდა მივსდიოთ, მისი ტიპიური სახე უნდა დაზუსტდეს ვარჯიშებზე, ხოლო თამაშში განხორციელდეს მოედანზე შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად.

**გ. ანთაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



# მეთერთმეტე გამარჯვება

## „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

თბილისისა და კიევის „დინამოს“ თანაკლუბელებს შორის გათამაშების ცხრილში დიდი განსხვავებაა. თბილისელებს მტკიცედ უკავიათ მე-2 ადგილი, ხოლო კიეველები ასევე „მტკიცედ“ იმყოფებიან მეცხრეზე. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, სატურნირო ცხრილში მათი გუშინდელი შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ აუტსაიდერი მთელი შესაძლებლობით იბრძოლებდა სასურველი შედეგის მისაღწევად.

თამაში დაიწყო იმით, რომ კიეველები სახიფათოდ გაიჭრნენ მოწინააღმდეგის კართან და მარღანიამ გაბედული ნახტომით შესძლო კარის უვნებელყოფა. რამდენიმე წუთის შემდეგ საინტერესო მომენტი გათამაშდა თანაკლუბელთა კაპიტნებს შორის, — ღოღობერიძემ ისარგებლა იმით, რომ მეკარე ლემეშკომ კარი დატოვა და მოთამაშეთა ჯგუფს ზევიდან ბურთი კარში გაგზავნა. კიეველთა კაპიტანი ლერმანი დროზე გაერკვა შექმნილ სიტუაციაში, მეკარის მაგივრად ჩადგა და ზედ კარის ხაზიდან თავით მოიგერია ბურთი.

სტუმრების იერიშები პირველად აგებული იყო მათი ცენტრალური თავდამსხმელის ზაზროევის გაყვანაზე გადამწყვეტი დარტყმისათვის, მაგრამ რუსაძე ფხიზლად დარაჯობდა, მეტოქეს არ აძლევდა საშუალებას უშუალოდ შეტია კარისათვის. ზაზროევმა კარგა ხანს ეძება გზა მარღანიასკენ, მაგრამ როცა ვერას გახდა, მოედნის სიღრმეში დაიხია და მის ზონაში მორიგეობით შემოდიოდნენ შუამარბები ვინკოვატოვი და კომანი. ვერც ამ ხერხმა გასჭრა — თბილისის „დინამოს“ მცველებმა საიმედოდ დახშეს კარისკენ მისასვლელები.

თბილისელთა იერიშები უფრო ხანგრძლივი, მოფიქრებული იყო და რამდენიმე ვარიანტის სახით ხორციელდებოდა. მარჯვენა ფრთაზე მეტად სწრაფი კომბინაციებით მოწინააღმდეგეს გამუდმებით „აწუხებდნენ“ კოტრიკაძე და კ. გაგნიძე, მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მწვავე შტურმი განახორციელა ჰკუასელმა. „გენერალურ იერიშს“ მაინც მარცხენა შუამარბი ღოღობერიძე აწარმოებდა.

ორივე გუნდის თავდამსხმელებმა რამდენჯერმე „მოსინჯეს“ მეკარეები შორიდან, მაგრამ დარტყმები ან არაზუსტი იყო ან არასაკმარისად ძლიერის.

30-ე წუთზე ღოღობერიძემ შესანიშნავი დრიბლინგით ზედიზედ უკან ჩამოიტოვა კომანი, მიხაილინა, თუსტა და ბურთი კალოევს გადააწოდა. კალოევმა გადაინაცვლა ფრთაზე, ხაზთან ჩავიდა და უკან მიაწოდა ჰკუასელს. ზუსტი, ძლიერი დარტყმა ლემეშკომ ვერ მოიგერია და იძულებული იყო ბურთი ბადიდან გამოეტანა — 1:0.

8 წუთის შემდეგ სტუმართა კარში დაინიშნა საჯარიმო 18 მეტრიდან. ღოღობერიძემ კარგა ხანს ათვალიერა პარტნიორები და როცა ვერავინ ვერ ნახა თავისუფალი, კარში დაარტყა. კიეველთა მეკარემ სულ მცირედ დააგვიანა და მის კარში მეორე ბურთი გავიდა. ცოტა ხანში ღოღობერიძეს ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მის მიერ ნელა დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო ლემეშკომ სხარტი ნახტომით მოიგერია.

მეორე ტაიმში სტუმრებმა შესამჩნევად გამოაცოცხლეს თამაში. ისინი კარგა ხანს დაჟინებით უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ მასპინძელთა დაცვამ კარგად შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა — მოწინააღმდეგეს არ მისცა კარში დარტყმის საშუალება. კვლავ თავი გამოიჩინა მარჯვენა მცველმა ელოშვილმა.

შემდგომში კიეველთა იერიშები თანდათან შენელდა და თბილისელებმა კვლავ გადაინაცვლეს მათ ნახევარზე. 26-ე წუთზე კომბინაცია კოტრიკაძე-კალოევი - კ. გაგნიძე დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან კარში ძლიერი დარტყმით. ლემეშკო ოდნავ წინ იყო გამოსული კარიდან და ვერ მისწვდა მაღალ ბურთს. ანგარიში გახდა 3:0.

თამაშის ბოლო წუთებში კიეველები უკვე შეურიგდნენ დამარცხებას, ხოლო თბილისელებს ეს ანგარიში სავსებით აკმაყოფილებდა.

თბილისის დინამოელებმა გათამაშების ცხრილში მე-11 გამარჯვება ჩაიწერეს.

**რ. ძორიძე**

## გათამაშების ცხრილი

### „ა“ კლასი

**მდგომარეობა 19 აგვისტოსათვის**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | თბ. | 18 | 11 | 4 | 3 | 37:19 | 26 |
| „სპარტაკი“ | მ. | 16 | 9 | 6 | 1 | 43:13 | 24 |
| „დინამო“ | მ. | 17 | 8 | 5 | 4 | 32:16 | 21 |
| „ზენიტი“ | ლ. | 18 | 10 | 1 | 7 | 24:20 | 21 |
| „ტორპედო“ | მ. | 18 | 9 | 3 | 6 | 29:33 | 21 |
| „ლოკომოტ.“ | მ. | 19 | 6 | 6 | 7 | 20:26 | 18 |
| „ლოკომოტ.“ | ხ. | 19 | 6 | 4 | 9 | 19:29 | 16 |
| „ზენიტი“ | კბ. | 16 | 5 | 4 | 7 | 16:22 | 14 |
| „დინამო“ | კ. | 17 | 4 | 4 | 9 | 17:24 | 12 |
| „დინამო“ | ლ. | 17 | 4 | 3 | 10 | 18:30 | 11 |
| „სპარტაკი“ | ვ. | 17 | 1 | 6 | 10 | 8:31 | 8 |

# ქუთაისის „დინამოს“ წარმატება

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში საქართველოს სსრ 1953 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“.

თამაშის პირველ 45 წუთში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შესძლო წარმატების მიღწევა — ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეტალურგები შეტევაზე გადავიდნენ და მალე მარცხენა შუამარბმა ხუციშვილმა ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

30-ე წუთზე ქუთაისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მეფისაშვილმა კარგად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გაქვითა. ცოტა ხანს შემდეგ რუსთავის გუნდის კარში მეორე ბურთი იქნა გატანილი.

თასის ფინალში გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის „დინამომ“, რომელსაც გადაეცა საპატიო პრიზი.

# ათი ბურთი მოწინააღმდეგის კარში

მე-14 ტურის შეხვედრას როსტოვის „ტორპედოსთან“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის „სპარტაკისათვის“ — გამარჯვების შემთხვევაში ახალგაზრდული, ენერგიული კოლექტივი ფინალში გადიოდა.

სპარტაკელები მოედანზე გამარჯვების სრული რწმენით გამოვიდნენ. ყოველი მოთამაშე თითქმის შეუცდომლად ასრულებდა თავის ფუნქციებს. კარგად იყო მოწესრიგებული ურთიერთ-მოქმედება ცალკეულ რგოლებს შორის, ბოლომდე იქნა შენარჩუნებული თავიდანვე აღებული მაღალი ტემპი. ყურადღებას იპყრობდა ზუსტად დამუშავებული ტიპიური კომბინაციები, რომელთაგან რამდენიმე დამთავრებულ იქნა გოლით (მაგალითად, პაიჭაძისა და ნორაკიძის კომბინაციები). კარგად თამაშობდა თბილისელთა თავდასხმა, მათ კარგად ესმით ერთმანეთის, დროულად გადიან შერჩეულ ადგილებზე, ზედმეტად არ ატარებენ ბურთს. მოსაწონი იყო დაცვისა და ნახევარდაცვის თამაში, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მალიავკინი (№ 3). სპარტაკელების ათი ბურთიდან არც ერთი არ ყოფილა შემთხვევითი. მათ საშუალოდ ყოველ 9 წუთში თითო ბურთი გაჰქონდათ მოწინააღმდეგის კარში.

სტუმრების მეკარემ დენისენკომ პირველი ბურთი მე-7 წუთზე გამოიტანა ბადიდან — პაიჭაძის ზუსტი გადაცემა ნორაკიძემ შეუჩერებლივ გაგზავნა კარში. როსტოველები კარგა ხანს წარმატებით იცავდნენ თავს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გვარამაძის მიერ დარტყმულ ბურთს ზედ ხაზთან დაუმატა მიქაძემ — 2:0.

ტორპედოელებმა სცადეს თამაშის გარდატეხა და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ჯორბენაძემ (№ 2) ცარიელი გოლიდან გამოიტანა ბურთი.

30-ე წუთზე პაიჭაძემ მოუსწრო ძელიდან უკუგდებულ ბურთს და ანგარიში სამამდე გაზარდა, მალე მან კარგად გაიყვანა კარის წინ ნორაკიძე და ბურთი კვლავ ბადეში აღმოჩნდა. 4:0.

ტაიმის დამთავრებამდე როსტოველებმა კიდევ ორჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან — ჯერ მიქაძე მოულოდნელად შეიჭრა მოწინააღმდეგის მცველთა რიგებში და მოულოდნელადვე დაარტყა კარში, ხოლო შემდეგ პაიჭაძემ გვარამაძის მოწოდებული ბურთი მკვეთრი დარტყმით ბადეში გაგზავნა.

თამაშის მეორე ნახევარში „ტორპედოს“ კარში დენისენკოს ნაცვლად პავლენკო ჩადგა და პირველ წუთებშივე რამდენიმე სახიფათო ბურთი აიღო. მალე სტუმრებიც გამოვიდნენ მოპირდაპირის ნახევარზე და მე-13 წუთზე უკვე თბილისელები იწყებენ ცენტრიდან — ფურსოვმა კარგად გამოიყენა კრუგლოვის გადაცემა. 1:6.

ტორპედოელთა წარმატება ამით ამოიწურა. მალე მათ კარში მეშვიდე ბურთი იქნა გატანილი, მეშვიდეს მოჰყვა მერვე. მეცხრე ბურთი გარიშვილმა 18 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა, ხოლო ანგარიში 44-ე წუთზე „დაამრგვალა“ ჯორბენაძემ.

მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ ანგარიშით 10:1. გუნდმა უკვე მოიპოვა ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება იმის მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდება მისი უკანასკნელი მატჩი ბაქოს „ნეფტიანიკთან“.

**გ. ჩაჩანიძე**

• • •

**სურათზე:** ნორაკიძეს გააქვს ბურთი.

# თასი მეორედ მოიპოვეს

ვორონეჟში დამთავრდა „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. თბილისის „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივმა, რომლის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა, ტურნირის უკანასკნელ დღეს დაამარცხა როსტოვის გუნდი.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა ფეხბურთელებმა წარმატებით ჩაატარეს შეჯიბრება და მეორედ მოიპოვეს „ნორჩი დინამოელის“ გარდამავალი თასი ფეხბურთში.

## მკითხველთა სიგნალები

# მივიწყებული საქმე

სუხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში უმთავრესად ახალგაზრდები მუშაობენ. შემოქმედებითს საქმიანობასთან ერთად მათ იტაცებთ ფიზკულტურა და სპორტი. ამიტომ ისინი გახდნენ საზოგადოება „ისკრის" წევრები, გადაიხადეს საწევროები.

თეატრის პროფორგანიზაციამ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივისათვის შეიძინა ბურთები, ფრენბურთის ბადე, მაისურები, ჭადრაკის დაფები, რაპირები და სხვა სპორტული ინვენტარი. ამას მუშაობის სტიმული უნდა მიეცა ფიზკულტურის ძირეული საბჭოსათვის (თავმჯდომარე ი. ბახტაძე), მაგრამ საბჭოს წევრები ჯერ კიდევ უმოქმედობას იჩენენ, დღემდე სამუშაო გეგმაც კი არ შეუდგენიათ.

როგორ დაიწყო სპორტული სეზონი სუხუმის თეატრში? ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი თეატრის პირველობაზე, რომელშიც გაიმარჯვა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. ზაქარიაძემ. ამის მიუხედავად, მისთვის ჯერ თანრიგიც არ მიუციათ. დაწესებული ჯილდოს გადაცემისათვისაც არავინ ზრუნავს.

დღემდე არაა დაკომპლექტებული სექციები, არავინ იცის რომელ გუნდში თამაშობს, სრულიად ჩაშლილია საწვრთნელი მუშაობა, ხოლო ბურთები თეატრის საწყობშია ჩაკეტილი. ამის შედეგი იყო ის, რომ ერთადერთი შეჯიბრება, რომელიც მსახიობებმა ჩაატარეს ოჩამჩირის ფრენბურთელებთან, მათი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

წელს თეატრი თვენახევარზე მეტხანს იმყოფებოდა საგასტროლოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, სადაც შეიძლებოდა მთელი რიგი საინტერესო სპორტული ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ ამისათვის თავი არ შეიწუხა.

**ნ. მიქაშავიძე.**

# უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადა

21-26 ივლისს მოსკოვში ჩატარდა სტუდენტ-სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადა. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად. ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ მესამე ჯგუფში, სადაც 20 გუნდი მონაწილეობდა.

სპარტაკიადაში კარგ შედეგებს მიაღწია საქართველოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. ქალთა გუნდმა (მწვრთნელი ა. ბათმანოვი) ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. გუნდს ყველაზე მეტი ქულები შესძინეს გ. გრიგორიანმა, კ. აროვამ, მ. ყუფარაძემ, ე. ჯოჯიაშვილმა. ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ნ. ჯორჯიკია) მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა სტუდენტ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი (მწვრთ. დ. ყარაგოზაშვილი და ა. ალფაიძე), რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატი შ. ჩიჩხიანი, პირველთანრიგოსნები მ. თათეიშვილი, ჯ. დარსაველიძე, ბ. კუპრაშვილი, ბ. ჯაფარიძე (ქუთაისის პედინსტიტუტი), რ. პილილიანი (ბათუმი) და სხვები. გუნდმა შეჯიბრებაზე გაუსწრო მოწინააღმდეგეებს და პირველობა მოიპოვა. მეორე თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შორის ჩემპიონი გახდა ზ. დადიანი. საქართველოს მოკრივეთა გუნდი (მწვრთნელი დ. დადიანი) მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. ქვესაშუალო წონაში მოკრივე რ. კოჩიევმა სტუდენტთა ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

შედარებით სუსტად გამოვიდნენ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტსმენები საწყლოსნო სპორტში. გუნდის არასახარბიელო შედეგებზე (მე-9 ადგილი) გავლენა იქონია პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტ ა. ლექვინიძის არასპორტულმა საქციელმა, რომელმაც უარი განაცხადა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

# ი. იზაშვილი—მეორე ადგილზე

ამას წინათ კალუგაში ჩატარდა მოზარდთა პირად-გუნდური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი მოზარდი მაგიდის ჩოგბურთელები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ესტონეთის მაგიდის ჩოგბურთელთა კარგად მომზადებული კოლექტივი.

პირად ჩათვლაში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა ესტონელმა ტალკაკმა. ამავე ასაკის გოგონათა შორის უძლიერესი იყო პესური (ესტონეთი). ტალკაკმა და პესურმა მოიგეს პირველი ადგილი აგრეთვე შერეულ წყვილთა თამაშში.

საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა უფროსი ასაკის მოზარდთა შორის. ჭაბუკებში ქულათა მაქსიმალური რაოდენობა დააგროვა ლიტველმა პაშკიავიჩუსმა.

განსაკუთრებული დაძაბულობით ხასიათდებოდა ბრძოლა პირველი ადგილისათვის გოგონათა შორის. უკანასკნელი დღისათვის, წაუგებლად მიდიოდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები კუნშინა და საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელი იზაშვილი. პირველი პარტია მოიგო კუნშინამ, მეორე იზაშვილმა. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ანგარიში მიყავდა იზაშვილს—13:7, მაგრამ გამოცდილებამ კუნშინას საშუალება მისცა გაეთანაბრებინა თამაში და შემდეგ მოეგო კიდეც — 21:18. ამრიგად გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კუნშინა, მეორეზე — იზაშვილი.

**ი. შაქარაშვილი**

# შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ორ დღეს გრძელდებოდა სამხრეთ ოსეთის საოლქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ზნაურის, ლენინგრადის, სტალინირის რაიონებისა და ქ. სტალინირის საუკეთესო მოჭიდავეები.

წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: უმჩატეს წონაში გ. თხელიძემ (ზნაური), მჩატე წონაში — ვ. ხეთაგუროვმა (სტალინირის რაიონი), ქვემსუბუქში ა. ჩიხლაძემ (ზნაურის რაიონი), მსუბუქში — ლ. კოლიევმა (ქ. სტალინირი), ქვესაშუალოში — ლენინგორელმა ა. ჩარიგოგდიშვილმა, საშუალო წონის მოჭიდავეებს შორის ძლიერი აღმოჩნდა ნ. ბაბუციძე (სტალინირის რაიონი), ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა სტალინირის რაიონის წარმომადგენელმა გ. ტურაშვილმა. მძიმე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ო. პარჩუკაშვილი.

**ზ. თედეევი.**

## გზატკეცილზე



პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭომ ჩაატარა შეჯიბრება ველოსპორტში. მონაწილეობდნენ „ისკრის", „უროჟაის", „ბურევესტნიკისა" და „ტრუდის" ველოსიპედისტები. პროგრამაში იყო რბოლა საგზაო და სპორტული მანქანებით 50 კილომეტრზე ვაჟებისათვის და 25 კილომეტრზე ქალებისათვის.

სპორტული მანქანებით შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა „უროჟაის" გუნდმა, საგზაო მანქანებით — „ისკრის" წარმომადგენლებმა.

• • •

**სურათზე:** (მარცხნიდან-მარჯვნივ) სპორტული მანქანებით შეჯიბრებაში გამარჯვებული შ. არქანია, მეორე ადგილზე გამოსული ვ. სატულო და შეჯიბრების მონაწილე ზ. ხარაიშვილი.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

# კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის წინ

როგორც ცნობილია, 5 სექტემბერს თბილისში დაიწყება კალათბურთელთა XX საკავშირო ჩემპიონატი. უძლიერესთა ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვისა და ლენინგრადის ვაჟთა და ქალთა 24-24 გუნდი.

პირველობა მოეწყობა შემდეგი სისტემით: თავდაპირველად გათამაშდება შეხვედრები ქვეჯგუფებში. ასეთი ქვეჯგუფი იქნება ექვსი (თითოში ოთხ-ოთხი გუნდი) ქვეჯგუფებში პირველ მეორე ადგილზე გამოსული კოლექტივები (სულ 12) წრიული სისტემით შეებრძოლებიან ერთმანეთს. იმ შემთხვევაში თუ კალათბურთელთა კოლექტივები ქვეჯგუფებში შეხვდებიან ერთმანეთს და შემდეგ ორივე მოიპოვებს I-XII ადგილისათვის ბრძოლის უფლებას, ისინი განმეორებით არ შეხვდებიან ერთმანეთს. ჩათვლაში შევა მათი პირველი შეხვედრის ანგარიში.

უკვე მოეწყო კენჭის ყრა, რომლის შედეგები ასეთია — **ქალები:** პირველი **ქვეჯგუფი** — რსფსრ I, თურქმენეთი, მოსკოვი III, ლატვია; **მეორე ქვეჯგუფი** — სომხეთი, უზბეკეთი, „სტროიტელი" (მოსკოვი), უკრაინა; II. **მესამე ქვეჯგუფი** — ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ლენინგრადი I, ესტონეთი; **მეოთხე ქვეჯგუფი** — ლიტვა, მოსკოვი I, ყირგიზეთი, რსფსრ III, **მეხუთე ქვეჯგუფი** — მოსკოვი II, ტაჯიკეთი, უკრაინა I, კარელია-ფინეთი; **მეექვსე ქვეჯგუფი** — ბელორუსია, „ნაუკა" (თბილისი) ლენინგრადი II, მოლდავეთი.

**ვაჟები:** პირველი **ქვეჯგუფი** — სომხეთი, ყაზახეთი, ცდსა (მოსკოვი), რსფსრ II; **მეორე ქვეჯგუფი** — მოსკოვი I, კარელია-ფინეთი, ყირგიზეთი, უკრაინა II; **მესამე ქვეჯგუფი** — ლენინგრადი II, ლიტვა, ტაჯიკეთი, „ნაუკა" (თბილისი); **მეოთხე ქვეჯგუფი** — რსფსრ I, „დინამო" (თბილისი), ლენინგრადი I, მოლდავეთი, **მეხუთე ქვეჯგუფი** — ესტონეთი, უზბეკეთი, ბელორუსია, მოსკოვი II, **მეექვსე ქვეჯგუფი** — აზერბაიჯანი, უკრაინა I, ლატვია, თურქმენეთი.

# აფხაზეთის თასზე

დამთავრდა აფხაზეთის თასის გათამაშება ფეხბურთში კოლმეურნეთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, სუხუმის, გულრიფშისა და ახალი ათონის რაიონების ნაკრები გუნდები.

საინტერესო ბრძოლაში აფხაზეთის 1953 წლის თასი მოიპოვეს გულრიფშის რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელებმა.

**ლ. არჩაია**





ფოთში დამთავრდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს 1953 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 ვაჟი და 7 ქალი. ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ფოთის წარმომადგენელმა ნ. ცომაიამ. მეორე ადგილზეა რ. ჭყონია (მახარაძე). ქალებიდან — მახარაძის რაიონის სოფელ ლაშეს კოლმეურნეობის წევრმა ო. შათირიშვილმა.

• • •

**სურათზე:** (ზევით) — **ნ. ცომაია,** (ქვევით) — **ო. შათირიშვილი.**

## სპორტის ისტორიიდან

# ველორბოლა პეტერბურგი—მოსკოვი

გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთში უკვე არსებობდა ათობით საველოსიპედო კლუბი და წრე. ფართოდ იყო ცნობილი ველოტრეკის საუკეთესო რუსი ოსტატების — ძმები სიმაგინების, პოხილსკის, დოკუჩაევის, სოფონოვის, დიაკოვისა და იმ დროს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უტოჩკინის სახელები. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი იყო აგრეთვე მეგზატკეცილე ველოსიპედისტებს შორის.

ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რაც გამოიწვია რუსეთში პირველმა დიდმა საერთაშორისო საგზატკეცილო რბოლამ, რომელიც ჩატარდა 1895 წელს პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა რამდენიმე ცნობილი უცხოელი ველოსიპედისტი. მათ შორის იყო იმ დროს სახელგანთქმული ავსტრიელი ველოსიპედისტი ფრანც გერგერი, რომელმაც ამ შეჯიბრებამდე ორი თვით ადრე მოიპოვა პირველობა ველორბოლაში ბორდო-პარიზი.

პეტერბურგ-მოსკოვის ველორბოლის სტარტი დანიშნული იყო 1895 წლის 29 ივნისს (11 ივლისი). ამინდი ხელს არ უწყობდა ასპარეზობას. დაწყებული 26 ივლისიდან სამი დღის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა, რამაც გადარეცხა ისედაც ცუდი გზები. შეუშინდნენ რა სიძნელეს, ორმა უცხოელმა — ი. ფიშერმა (მიუნხენი) და ა.კეპერმა (ბერლინი) არ მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში. სტარტი აიღო მხოლოდ 19 მრბოლმა, მათ შორის 14 რუსი იყო.

გამარჯვების ყველაზე დიდი შანსის მქონედ ფრანც გერგერს თვლიდნენ. მხოლოდ ზოგიერთს მიაჩნდა, რომ სათანადო მეტოქეობის გაწევა შეეძლო მოსკოველ ველოსიპედისტს, რკინიგზის სამმართველოს მხაზველს მიხეილ ფადეის-ძე დზევოჩკოს, რომელმაც წინა წელს მოიგო ველორბოლა მოსკოვი-ნიჟნი-ნოვგოროდი (ახლანდელი ქალაქი გორკი).

მოსკოველმა ველოსიპედისტმა სტარტის აღებისთანავე მარცხი განიცადა — დზევოჩკოს მანქანა წყლით დაფარულ ორმოში ჩავარდა და დაზიანდა. თვითონ მრბოლმა მძიმედ დაიშავა მარჯვენა მუხლი. მაგრამ დზევოჩკო არ გამოვიდა შეჯიბრებიდან — შეაკეთა ველოსიპედი და განაგრძო გზა.

ჯერ კიდევ ჩუდოვოში მისვლამდე მიხეილ დზევოჩკომ გაუსწრო გერგერს და წინ წავიდა. გზა მეტად მძიმე იყო. საგზატკეცილო რბოლა არსებითად გადაკვეთილ ადგილმდებარეობაზე შეჯიბრებად გადაიქცა. მაგრამ დზევოჩკო შეუჩერებლად მიჰქროდა წინ და მცირე ხნით ისვენებდა მხოლოდ საკვებ პუნქტებთან. გზის ზოგიერთ ეტაპზე დზევოჩკო გერგერს ერთნახევარი საათით უსწრებდა. სხვა უცხოელი ველოსიპედისტები უკვე გავიდნენ შეჯიბრებიდან. გერგერი კი ყოველივე ძალას ხმარობდა, რათა „მისწვდომოდა" მოსკოველს. ქ. ტვერთან მან თითქმის მიაღწია ამას, მაგრამ გზის უკანასკნელ ეტაპზე დზევოჩკო კვლავ წინ გაიჭრა.

ფინიში შედგა მოსკოვში, ვსესვიატსკის ახლოს. აქ თავი მოიყარა მრავალმა მოსკოველმა. მათი უდიდესი სიხარული გამოიწვია მიხეილ დზევოჩკოს გამოჩენამ — იგი პირველი მიიჭრა ფინიშის ბოძთან.

700 კილომეტრი მანძილი პეტერბურგსა და მოსკოვს შორის (ნოვგოროდზე გავლით) დზევოჩკომ 36 საათსა და 10 წუთში დაფარა. 44 წუთის დაგვიანებით მოვიდა ფრანც გერგერი. მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ი. შელიაევი.

აღსანიშნავია, რომ ველორბოლის დასასრულს დზევოჩკოს საკმაო ენერგია შერჩა — იგი ფეხით გაემართა აგარაკ კოპტევოში მცხოვრებ მეგობართან. გერგერი კი ფინიშთან ნახევრად გულწასული მივიდა. იგი ხელით გადმოიღეს ველოსიპედიდან, მაგრამ მან ვერ შეძლო ფეხზე დადგომა და იქვე ჩაიკეცა. ამ გაჭირვებაში ავსტრიელს დაეხმარა ერთი გარემოება: ყოყოჩა უცხოელი იმდენად იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რომ წინასწარ შეეკვეთა საზეიმოდ მორთული კარეტა — ფინიშის შემდეგ მას სურდა ტრიუმფით გაევლო მოსკოვის ქუჩებში. და აი, ტრიუმფალური კარეტა გადაქცეულ იქნა სასწრაფო დახმარების კარეტად, რომლითაც გერგერი საავადმყოფოში წაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ დზევოჩკოს გამარჯვება შემთხვევითი არ იყო. მომდევნო 1896 წელს იმ დროისათვის გრანდიოზული ველორბოლა განმეორებულ იქნა უკუმიმართულებით — მოსკოვიდან პეტერბურგისაკენ. ამჯერადაც პირველი ადგილი დზევოჩკომ დაიკავა.

**რედაქტორი ი. უზუნაშვილი**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03489